პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2023 წლის _ _თებერვალი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 თებერვლის №21 (გ-49.4923038001) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 თებერვლის №21 (გ-49.4923038001) განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დანართი N1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482305323**
თარიღი: **22/02/2023**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხაში, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ცვლილებების შეტანის თხოვნით მოგვმართა მერის წარმომადგენლებმა გვიშტიბის, გუმბრის და ცხუნკურის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად გიგზავნით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 2023 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების კორექტირებულ ნუსხას.

თან ერთვის: პროექტების ნუსხა შესაბამისი ცვლილებებით 3 ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები

დანართი 1

№	სოფელი	სოფლის კრებაზე გამარჯვებული პროექტის დასახელება	გამოყოფილი თანხა (ლარი)	პროექტის ღირებულება (ლარი)	საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება (ლარი)	ადგილობრ. ბიუჯეტის თანადაფინანსება (ლარი)
1	გეგუთი	კულტურის სახლის რეაბილიტაცია	5000	4850	150	0
2		მემორიალის რეაბილიტაცია	15000	14550	450	0
3	გვიშტიბი	მინი სტადიონის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა	20000	20000	0	0
4	გუბისწყალი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა	16000	16000	0	0
5	თერნალი	ახალი სასაფლაოს ღობის მოწყობა	16000	15520	480	0
6	პირველი წყალტუბო	სანიაღვრე არხების მოწყობა	12000	11640	360	0
7	გუმბრა	სოფელ გუმბრაში სასაფლაოს შემოღობვისათვის და არსებული საპირფარეშოს რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა	20000	20000	0	0
8	ბანოჯა	მე-13 ქუჩაზე გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	15000	15000	0	0
9		სოფლის ცენტრში არსებული მემორიალის რეაბილიტაცია	5000	4850	150	0
10	ხომული	ბენიძეების უბანში გზის რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	20000	20000	0	0
11	დღნორისა	სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით	12000	11640	360	0
12	ლეხიდრისთავი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0
13	საჩხეური	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0
14	ჭაშლეთი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0
15	მაღლაკი	კულტურის სახლის რეაბილიტაცია	20000	19400	600	0
16	მიწაწითელი	წმინდა გიორგის სახელობის სალოცავის შემოღობვა	12000	11640	360	0
17	მექვენა	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0
18	ბენთქოულა	სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით	10000	9700	300	0

19	დერჩი	სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება ინერტული მასალით	10000	9700	300	0
20	ვანისჭალა	სასმელის წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის საშირო 500ლ ტევადობის წყლის რეზერვუარის, 50 მმ დიამეტრისა და 500 მ სიგრძის წყლის მილების, მილების გადასაბმელების, 300 მმ დიამეტრისა და 60 მ სიგრძის გოფრირებული პლასტმასის მილის და 7 მ სიგრძის ალუმინის 3 სექციანი გასაშლელი კიბის შეძენა	10000	10000	0	0
21	ზედა ონჭეიში	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0
22	ქვედა ონჭეიში	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0
23	მუხიანი	მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებაში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	13000	12610	390	0
24		ყუბანეიშვილების უბანში გარე განათების მოწყობა	7000	6790	210	0
25	უკანეთი	გვანცელაძეების უბანში გარე განათების მოწყობა	12000	11640	360	0
26	ქვედა მესხეთი	არსებული სკვერის კეთილმოწყობა	16000	15520	480	0
27		საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის შენობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა	4000	4000	0	0
28	ოფურჩხეთი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	16000	16000	0	0
29	გუმათი	გარე განათების მოწყობა	16000	15520	480	0
30	ნამოხვანი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	5000	5000	0	0
31		გარე განათების მოწყობა	5000	4850	150	0
32	ჟონეთი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	12000	12000	0	0
33	ჯიმასტარო	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	12000	12000	0	0
34	ოფშკვითი	გარე განათების მოწყობა	20000	19400	600	0
35	პატრიკეთი	საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა	20000	19400	600	0
36	ტყაჩირი	ეკლესიის შემოღობვა და მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა	20000	19400	600	0
37	რიონი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	20000	20000	0	0
38	ზარათი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	12000	12000	0	0
39	მეჩხერი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0

40	ნოღა	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0
41	სორმონი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	12000	12000	0	0
42	ჭოლევი	სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	10000	10000	0	0
43	საყულია	სოფლის ცენტრში ფანჩატურის მოწყობა	10000	9700	300	0
44		სვანების დასახლებაში არსებული ამბულატორიის რეაბილიტაცია	10000	9700	300	0
45	ფარცხანაყანევი	ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზოს კეთილმოწყობა	20000	19400	600	0
46	ქვიტირი	გარე განათების ქსელის მოწყობა	20000	19400	600	0
47	ზედა მესხეთი	ყოფილი საბავშვო ბაღის ეზოში ატრაქციონების მოწყობა	20000	19400	600	0
48	ცხუნკური	ფანჩატურის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა	9000	9000	0	0
49		სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	7000	7000	0	0
50	ყუმისთავი	სასაფლაოს შესაღობად საჭირო მავთულბადის და სხვა საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა	7000	7000	0	0
51		ფანჩატურის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა	9000	9000	0	0
52	ზედა (გაღმა) ჩუნეში	სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის საჭირო პლასტმასის მილებისა და სხვა საჭირო მასალების შეძენა	3000	3000	0	0
53		სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შეძენა	7000	7000	0	0
54	სოფელი წყალტუბო	ფანჩატურის მოწყობა გურშების უბანში	10000	9700	300	0
55		ადმინისტრაციული ერთეულის შენობასთან არსებული სტადიონის რეაბილიტაცია	10000	9700	300	0
56	ქვილიშორი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის	16000	16000	0	0
57	ჩუნეში	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციისათვის	16000	16000	0	0
		ჯამი:	**704000**	**693620**	**10380**	**0**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
გვიშტიბის ადმინისტრაციული ერთეული

წერილის ნომერი:**26-482305253**
თარიღი: **21/02/2023**

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

მოგახსენებთ, რომ ,,სოფლის მხარდაჭერი" პროგრამის ფარგლებში, სოფელ გვიშტიბში მინი მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოსახლეობის მოთხოვნით შეიცვალოს მინი მოედნის მოწყობისთვის საჭირო მასალების შესყიდვით.

პატივისცემით,

ტარიელ გველესიანი

გვიშტიბის ადმინისტრაციული ერთეული-მერის წარმომადგენელი

ტელ:(591) 05-92-97

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
გუმბრის ადმინისტრაციული ერთეული

წერილის ნომერი:**16-48230511**
თარიღი: **20/02/2023**

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენად,

მოგახსენებთ, რომ გუმბრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გუმბრაში სოფლის პროექტის ფარგლებში, მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით გადაწყდა სოფლის სასაფლაოს შემოღობვა და მიმდებარედ საპირფარეშოს მოწყობა.

გთხოვთ არსებული სამუშაოებისთვის მოახდინოთ საჭირო მასალების შეძენა, ხოლო უშუალოდ სამუშაოები შესრულებული იქნება მოსახლეობის მიერ.

პატივისცემით,

ბესიკი ბალანჩივაძე

გუმბრის ადმინისტრაციული ერთეული-მერის წარმომადგენელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
ცხუნკურის ადმინისტრაციული ერთეული

წერილის ნომერი:**20-4823045143**
თარიღი: **14/02/2023**

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი.

მიმდინარე წელს სოფელ ცხუნკურის თემში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების შერჩევისას მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად,ხმათა უმრავლესობით სხვა პროექტებთან ერთად შერჩეული იქნა მოქალაქეთა თავშეყრის ადგილების (ფანჩატურების) მოწყობა. აღნიშნული პროექტის განხორციელება განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ სატენდერო კონკურსის წესით.

განვიხილავთ რა ამ საკითხს მიზანშეწონილად მიმაჩნია განხორციელდეს საჭირო მასალების პირდაპირი შესყიდვა, რაც განაპირობებს მეტი ერთეული ფანჩატურის მშენებლობას,ეს კი მაქსიმალურად გაზრდის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტურობას.აქვე გაგიმარტავთ, რომ გაგვაჩნია როგორც ადამიანური ისე ტექნიკური რესურსი ამ პროექტის წარმატებით განსახორციელებლად. ასევე პირადად ვიღებ მატერიალურ და სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ პასუხისმგებლობას.

პატივისცემით.

მერაბ სულაბერიძე

ცხუნკურის ადმინისტრაციული ერთეული-მერის წარმომადგენელი